იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის
დირექტორს მარინა კაჭარავას

მისამართი: I მაისის ქუჩა, 0114, კიკეთი, საქართველო

ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა

და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ქალბატონო მარინა,

2017 წლის 10 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს N11905/17 განცხადებით მომართა კავშირი „საფარის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ბაია პატარაიამ. განცხადების თანახმად, იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელმა გააკეთა განცხადება მე-8 კლასში გადამსვლელი ბიჭებისათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. აღნიშნული სტიპენდიის მოპოვების შესაძლებლობა კი არ აქვს VIII კლასში გადამსვლელ გოგონებს.

1. **ფაქტობრივი გარემოებები**

2017 წლის 28 ივნისს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელმა გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმად სკოლამ გამოაცხადა სასტიპენდიო პროგრამა VIII კლასში გადამსვლელი ბიჭებისათვის. სტიპენდიის ოდენობა დამოკიდებული იყო მისაღები გამოცდების შედეგებზე, მისაღები კონტიგენტის რაოდენობა კი განისაზღვრა არაუმეტეს 4 მოსწავლით.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის მიერ გავრცელებული განცხადებით, სკოლა VIII კლასში გადამსვლელი ბიჭებისათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ განცხადების გამოქვეყნებით არ ისახავდა უარყოფით მიზნებს. სკოლის მიერ სოციალური გვერდით გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ VIII კლასში სწავლობს 10 გოგონა და 1 ბიჭი, შესაბამისად, სწორედ მოსწავლეთა დაბალანსების მიზნით სასტიპენდიო პროგრამა შეიქმნა მითითებული სეგმენტის დაინტერესებისა და მოზიდვისათვის.

მოპასუხე მხარემ სახალხო დამცველს აცნობა, რომ ბიჭებისათვის სტიპენდიის გამოცხადება ემსახურებოდა ფაქტობრივი თანასწორობის წახალისებას, რადგან 2017-18 სასწავლო წლის VIII კლასში, სადაც გამოცხადდა მიღება სწავლობს 8 გოგონა და მხოლოდ 2 ბიჭი, რომელთაგან ერთ-ერთის მშობელს მომართული ჰქონდა სხვა სკოლაში გადაყვანის შესახებ მოთხოვნით. სკოლის განმარტებით, ვინაიდან სკოლა მიმართული იყო თანასწორობის აღდგენისაკენ, შეიქმნა მსგავსი სტიპენდია, რათა მომხდარიყო მიმღებთა წახალისება, რაც ემსახურებოდა სქესთა შორის ბალანსის დაცვასა და VIII კლასში მყოფი ვაჟისათვის უმცირესობაში ყოფნის შედეგად შექმნილი დისკომფორტისა და დათრგუნვის აღმოფხვრას.

აღსანიშნავია, რომ 2013-14 სასწავლო წლებში, სკოლას დამატებითი კლასების შევსების მიზნით, გამოცხადებული ჰქონდა საგანმანათლებლო მომსახურების ფასდაკლების აქცია VI, VII და VIII კლასის სულ 12 მოსწავლისათვის, VII კლასის დაფინანსება მიემართებოდა მხოლოდ გოგონებს, ხოლო VI და VIII კლასებში - გოგონებსა და ბიჭებს.

2. სამართლებრივი შეფასება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად საქართველოს სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით გარანტირებული არის განათლების მიღების უფლება. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის.

ამავე კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, **დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია და სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის მიმართ დისკრიმინაცია.** ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

ინდივიდის განათლების უფლებას იცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი. დამატებით, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები აღიარებენ ყველა ადამიანის უფლებას განათლებაზე.

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი პაქტის მე-13 მუხლზე მსჯელობისას მიუთითებს, რომ განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასათვის. ხელმისაწვდომობის პრინციპი თავის თავში მოიაზრებს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობას როგორც სამართლებრივად, ასევე ფაქტობრივად.[1]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაცია არ არის სპეციალური და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებული ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონიც, მე-13 მუხლის საფუძველზე უშვებს განმასხვავებელ ქმედებასა ან გამონაკლისს, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

განათლების სფეროში დროებითი ღონისძიებების გამოყენება *დე ფაქტო* თანასწორობის მიღწევისათვის თავისთავად არ არის დისკრიმინაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ღონისძიებები არ იქნება მიმართული სხვა ჯგუფებისადმი მუდმივად არათანასწორი სტანდარტების შენარჩუნებისაკენ.[2]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, პოზიტიური ღონისძიებები მიზნად უნდა ისახავდეს ფაქტობრივი უთანასწორობის გამოსწორებას.[3] ამ შემთხვევაშიც, გატარებული პოზიტიურ ღონისძიებას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი. ლეგიტიმურ მიზანს შესაძლებელია წარმოადგენდეს უთანასწორობის გამოსწორება, დაუცველი ჯგუფის ისტორიულად არათანაბარ მდგომარეობაში ყოფნით გამოწვეული განგრძობადი ეფექტის შემსუბუქება და კომპენსირება.[4] პოზიტიური ღონისძიებების გატარების საჭიროება უნდა მოხდეს კონკრეტული ინდივიდუალური შემთხვევის ობიექტურად შეფასების შედეგად.

2015 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის თანახმად, საქართველოში საბაზო და საშუალო სკოლაში მიღების ნიშნულის თანახმად, სქესთა ბალანსი

---

[1] UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), *General Comment No. 13: The Right to Education (Art. 13 of the Covenant)*, E/C.12/1999/10, 8 December 1999, § 6(b)

[2] UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), *General Comment No. 13: The Right to Education (Art. 13 of the Covenant)*, E/C.12/1999/10, 8 December 1999, § 32

[3] ECtHR, Stec and Others v. the United Kingdom, [GC] no. 65731/01, 12/04/2006, §§ 61, 66

[4] ECtHR, Stec and Others v. the United Kingdom, [GC] no. 65731/01, 12/04/2006, §§ 61 & 66; Konstantin Markin v. Russia , [GC] no. 30078/06, 22/03/2012, § 104

უზრუნველყოფილია.[5] ამდენად, სკოლაში მოსწავლეთა მიღების პროცესში პოზიტიური ღონისძიებების სახით სტიპენდიის სქესის საფუძველზე დაწესება მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროებით შეიძლება გამართლდეს. მოპასუხე მხარის მითითებით, ბიჭებისათვის სასტიპენდიო პროგრამის გამოცხადება განაპირობა VIII კლასში სქესთა შორის დისბალანსმა (10 გოგონა და 1 ბიჭი) და მიზნად ისახავდა ბიჭი მოსწავლეების მოზიდვას.

აღსანიშნავია, რომ გენდერული პარიტეტი მიიღწევა მაშინ, როდესაც არსებობს მდედრობითი და მამრობითი სქესის მოსწავლეთა თანაბარი წარმომადგენლობა და მონაწილეობა საგანმანათლებლო პროცესში. თუმცა, გენდერული პარიტეტის არსებობა არ არის გენდერული თანასწორობის ცალსახა ინდიკატორი.[6] დაფინანსების მექანიზმის გამოყენების შემთხვევები, მათ შორის, გვხვდება სკოლაში მიღების პროცესში გენდერული ბალანსის მიღწევის მიზნით. მაგალითად, ერთ-ერთ ქვეყანაში 28,000 გოგონასთვის გამოიყო დაფინანსება, გოგონა და ბიჭ მოსწავლეთა სკოლაში მიღების კუთხით არაპროპორციულად დიდი განსხვავების აღმოფხვრის მიზნით.[7]

სტიპენდიის გამოყოფა არის პრივილეგირებული მდგომარეობა და არ არის მხოლოდ ფინანსური დახმარების გაწევა. ისეთი კრიტერიუმები, როგორიც არის რასა, კანის ფერი, მოქალაქეობა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა და ა.შ. არ უნდა იყოს სტიპენდიის გაცემის საფუძველი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.[8] სწავლის დაფინანსების მოპოვების სურვილი შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერ მოსწავლეს, შესაბამისად, ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა გოგონებისა და ბიჭების მიმართ, რომელიმე პირის/პირთა ჯგუფის უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს გაუმართლებელი იქნება თუ არ დადასტურდება პირის/პირთა ჯგუფის განსაკუთრებული საჭიროება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მაშინ, როდესაც გენდერული დისბალანსი კლასში წარმოიქმნება ბუნებრივად და არ არის განპირობებული რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფისათვის ხელოვნურად შექმნილი ეკონომიკური/სოციალური ან სხვა ბარიერებით ხელი მიუწვდებოდეთ განათლებაზე, პოზიტიური ღონისძიების გატარების მართებულობა ეჭვქვეშ დგება. კლასში ერთი ბიჭი მოსწავლის ყოფნა თავისთავად არ ნიშნავს, რომ არსებობს პოზიტიური ღონისძიებების გატარების საჭიროება, ვინაიდან სადავოა და არ არის გაზომვადი ის შედეგი, რაც სასტიპენდიო პროგრამის ბიჭებისთვის გამოცხადებით მიიღწეოდა, თუ რამდენად ეფექტური ექნებოდა ბიჭების მიღება კონკრეტულ კლასში და

---

[5] World Economic Forum, Gender gap index 2015, Georgia, Female to male ratio: Enrolment in primary education - 1.01, Enrolment in secondary education - 1.00; 1.0 = equality, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2015/economies/#economy=GEO

[6] A Guide for Gender Equality in Teacher Education Policy and Practices, p. 11

[7] USAID, Education from a Gender Equality Perspective, გვ. 6, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ungei.org/resources/files/Education_from_a_Gender_Equality_Perspective.pdf

[8] Ontario Human Rights Commission, *Policy on Scholarships and Awards,* 1997, გვ.4, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://ohrc.on.ca/sites/default/files/attachments/Policy_on_scholarships_and_awards.pdf

რამდენად იქნებოდა უზრუნველყოფილი ფაქტობრივი თანასწორობა, იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, რაოდენობრივი გენდერული ბალანსის არსებობა ავტომატურად არ ნიშნავს გენდერული თანასწორობის არსებობას. იგივე მსჯელობა მიემართება სკოლის მიერ 2013-14 წლებში მხოლოდ VII კლასის გოგონათათვის დაფინანსების შეთავაზებას. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, **კონკრეტულ კლასში ბიჭი მოსწავლის უმცირესობაში ყოფნის შედეგად შექმნილი დისკომფორტისა და დათრგუნვის აღმოფხვრა ვერ იქნება მიჩნეული ისეთ ლეგიტიმურ მიზნად, რომელიც გაამართლებდა ბიჭებისათვის, თუნდაც მხოლოდ ერთ კლასში, განსხვავებული მოპყრობის დაწესებას.**

ამასთან, მოპასუხის განცხადება, რომ ფაქტობრივი გენდერული პარიტეტის არარსებობის პირობებში სასტიპენდიო პროგრამის დანიშვნა ემსახურებოდა სქესთა შორის ბალანსის დაცვასა და VIII კლასში მყოფი ვაჟისათვის უმცირესობაში ყოფნის შედეგად შექმნილი დისკომფორტისა და დათრგუნვის აღმოფხვრას, **თავისთავად წარმოადგენს გენდერული სტერეოტიპის კვლავწარმოებას, და ხელს უწყობს გენდერულად უთანასწორო გარემოს შექმნას.**

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას ეკისრება ვალდებულება, თითოეულ მოსწავლეს შეუქმნას თანაბარი პირობები დაფინანსების პროცესში, ხოლო გამონაკლისად, სტიპენდიის დაწესების დროს დაასაბუთოს, ერთი მხრივ, ის ფაქტი, რომ უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებული პირი ან პირთა ჯგუფი არის ეკონომიკური/სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით დაუცველი ან/და სხვაგვარად დისკრიმინირებულია; ხოლო მეორე მხრივ, თუ რა შედეგი იქნება მიღწეული დროებითი ღონისძიების გამოყენების შედეგად და როგორ დაეხმარება სტიპენდია სამიზნე ჯგუფს.

სახალხო დამცველი მიესალმება საგანმანათლებლო დაწესებულებების სურვილს ფინანსურად დაეხმაროს და წაახალისოს მოსწავლე/მოსწავლეები, თუმცა, აუცილებელია, არსებობდეს ნათლად გაწერილი შეფასების კრიტერიუმი თუ ვისთვის უნდა გამოიყოს სტიპენდია, რათა პრაქტიკამ არ გამოიწვიოს რომელიმე ჯგუფის არახელსაყრელ, არათანასწორ მდგომარეობაში ჩაყენება პრივილეგირებულ ჯგუფთან შედარებით და გაუმართლებლად არ გამოირიცხოს საჭიროების მქონე სხვა პირები დაფინანსების მიმღებ პირთა წრიდან.

პოზიტიური ღონისძიებების განხორციელება, რიგ შემთხვევებში, შეიძლება უთანასწორობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდეს, თუმცა მსგავსი ზომები უნდა გატარდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების კონტექსტის გათვალისწინებით და არ იწვევდეს სხვათა თანასწორობის უფლების შელახვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის

მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელს მიმართავს ზოგადი წინადადებით:

- მომავალში, სასტიპენდიო პროგრამის გამოცხადებისას დაიცვას თანასწორობის პრინციპი; და
- შეიმუშაოს სპეციალური დებულება სტიპენდიის მიღების წესისა და მიმღებ პირთა განსაზღვრის კრიტერიუმების შესახებ.

გთხოვთ, მაცნობოთ თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

პატივისცემით,